საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-
NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

MES 1 23 0001595146

22/11/2023

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გიგზავნით 2023 წლის 10 ნოემბრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №1594969 (თარიღი - 22/11/2023) სხდომის ოქმს, რომელშიც ასახულია ინფორმაცია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო და "ევროპისმცოდნეობის" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშების საბჭოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

დანართი 19 (ცხრამეტი) გვერდი

პატივისცემით,

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი
უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ინანაშვილი ქეთევან

საქართველო, თბილისი 0193, მ.ალექსიძის მე-2 შესახ. №2, ტელ: (+995 32)2 200 220 (3599) www.eqe.ge; info@eqe.ge
№2, M. Aleksidze 2nd lane, 0193 Tbilisi, Georgia. Phone: (+995 32) 2 200 220 (3599) www.eqe.ge; info@eqe.ge

MES 3 23 0001594969

22/11/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 10.11.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 15:15 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2]-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი **- საბჭოს თავმჯდომარე;**
ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი **- საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**

რატი რატიანი - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოსმდივანი;**
მარინე მაისურაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
ქეთევან ზურაშვილი - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
ლევან ნიკოლეიშვილი - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
მარინა ქავთარაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
თინათინ ჭაბუკიანი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
გურანდა ჭელიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი
ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
ირინე ებრალიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
ნინო ბაქრაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
ნინო ღაღანიძე - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	ნათია ღაჭავა	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
3	გოჩა თუთბერიძე	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი	II
4	სოფიო ხუნდაძე	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	ვიცე - რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	II
5	პანტელეიმონ კლდიაშვილი	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
6	თათია ხარაბაძე	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
7	თეონა გრიგოლაშვილი	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი	II
8	ხათუნა მანაგაძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	პროფესორი, მუსიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
9	თამარ ძველაია	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, პირველი კატეგორიის მოწვეული სპეციალისტი	III
10	ქეთევან ვაჩეიშვილი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
11	ანა სამსონაძე	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
12	მალხაზ ღვინჯილია	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	"კულტურული ტურიზმის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
13	ნინო ლაპიაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	V, VI

14	გიორგი მახარობლიშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V, VI

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	საკითხი
1	ირინა ნაკაშიძე	I
2	ირინა ნაკაშიძე	I
3	მანანა ლობჟანიძე	II
4	რუსუდან თაყაიშვილ	III
5	ეკა დევიძე	IV
6	გიორგი მირიანაშვილი	V, VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის დასაწყისში, საბჭოს არ ესწრებოდა საბჭოს წევრი გურანდა ჭელიძე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "მუსიკის მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული ტურიზმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპისმცოდნეობის" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "მუსიკის მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული ტურიზმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპისმცოდნეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია / Biology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 22 მარტის №268168 გადაწყვეტილება
5		ბიოლოგია

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოლოგიის ბაკალავრი / Bachelor of Biology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0511 ბიოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქუჩა, №59, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი № 1, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	–

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი განხილვა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირინა ნაკაშიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2021 წელს, პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით და დაწესებულებას განესაზღვრა 1 წელიწადში ანგარიშს წარმოდგენა. დაწესებულებას შესასრულებლად განსაზღვრული ჰქონდა 10 რეკომენდაცია. ანგარიშის წარმოდგენის ეტაპზე ექსპერტისა და საბჭოს მიერ მიჩნეულ იქნა, რომ დაწესებულებამ 10 რეკომენდაციიდან შეასრულა 7, ხოლო 3 რეკომენდაცია შეფასებული იქნა,

როგორც „ნაწილობრივ შესრულებული“. შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭომ იშუამდგომლა მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. არაგეგმიური მონიტორინგის წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს უნდა დაედგინა თუ რამდენად შეასრულა დაწესებულებამ შემდეგი რეკომენდაციები:

1. პროგრამის ბიუჯეტის შედგენისას დეტალურად გაიწეროს ხარჯები, ხარჯების შემოსავლებზე მეტობის შემთხვევაში მიეთითოს მათი დაფარვის წყაროები;
2. მოხდეს 5 წლიანი გეგმის წარმოდგენა, სადაც მკაფიოდ გაიწერება ლაბორატორიების ეტაპობრივად განახლების გრაფიკი, რომელიც სტუდენტებს ექსპერიმენტების თანამედროვე აპარატურით ინდივიდუალურად ჩატარების საშუალებას მისცემს;
3. პროგრამის მიზანში უნდა აისახოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები, რაც 21-ე საუკუნის გლობალიზაციის პირობებში, სასწავლო პროგრამების განვითარებისა და წარმატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ექსპერტმა მე - 3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს გარკვეულ ღონისძიებებს. ის ჩართულია „USAID”-ის ევროკავშირის საგრანტო პროექტებში. მისი თქმით, ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის დოკუმენტში ასახულია პროგრამის საჭიროებებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე ინტერნაციონალიზაციის ასპექტები. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მიმდინარე და განხორციელებული პროექტები იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველა დაგეგმილი ღონისძიება ეფექტურად განხორციელდება.
მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას უნდა წარმოედგინა ხუთწლიანი განვითარების გეგმა კერძოდ, ლაბორატორიებისა და ინფრასტრუქტურის განახლებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა უნივერსიტეტიდან ხუთწლიანი გეგმის ოფიციალური დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაანალიზებისა და შეფასების საფუძველზე ირკვევა, რომ უსდ-ს დამტკიცებული აქვს ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა და დაწყებული აქვს გარკვეული სამუშაოები ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მაღალი წნევის ქრომატოგრაფის სისტემა დაწესებულებას შეძენილი არ აქვს, თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დარჩენილ პერიოდში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შეძენას. ექსპერტმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამისთვის საჭირო ხარჯების შევსებას დაწესებულება ახორციელებს არა მარტო სტუდენტების სწავლის გადასახადის ხარჯზე, არამედ აქვს ალტერნატიული ფინანსური წყარო. ამრიგად, უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

პროგრამის ხელმძღვანელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა ლაბორატორიისა და ინფრასტრუქტურის განახლებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამას აქვს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერა. უსდ-ს ნათლად აქვს გააზრებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანია „ბიოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის გამართულად მუშაობა უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში. მისი თქმით, მათ შეიმუშავეს ხუთწლიანი გეგმა 2022 წლის სექტემბერში, რომელიც ფაკულტეტის საბჭოზე ადმინისტრაციასთან ერთად იყო განხილული. გეგმაში ნახსენებია მოწყობილობები, რომლის ნაწილი უკვე შესყიდულია (მაგალითად, წყლის აბაზანა). უნივერსიტეტმა წარმოადგინა აღნიშნული მოწყობილობების შესყიდვის შესახებ დამადასტურებელი ფოტომასალა. მან

აღნიშნა, რომ ასევე დაგეგმილია მაღალი წნევის ქრომატოგრაფის შეძენა. ინფრასტრუქტურა, გარემო და სივრცე მოწყობილია, სადაც იგეგმება საუნივერსიტეტო მულტიფუნქციური ლაბორატორიის გახსნა მულტიფუნქციურ ცენტრში, რომელიც ოფიციალურად გაიხსნა 2023 წლის გაზაფხულს. ამ სივრცეში მოიაზრება რამდენიმე ფაკულტეტისთვის ლაბორატორიული სივრცის მოწყობა სხვადასხვა მიმართულებით. ის ლაბორატორიები, რომლებიც დეპარტამენტში არსებობს და ემსახურება პროგრამებს, დარჩება ადგილზე. ამ გეგმით მოცემული მოწყობილობების აღჭურვა 2024 წელს დაიწყება, რომლებიც შევა მულტიფუნქციურ ლაბორატორიაში და დასრულდება 2026 წლის ბოლომდე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:21
დასრულების დრო: 14:23
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების, ამავე მუხლის მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეორე საკითხი: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2022 წლის 16 სექტემბრის №1095833 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დონე	მე -7
8	კვალიფიკაციის დასახელება	

		ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბუღალტრო აღრიცხვაში
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0411 საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ქუთაისი, 4600, წერეთლის ქ. N13

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, ექსპერტის დასკვნას და საკითხის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას ანგარიშის შესახებ. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი განხილვა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესასრულებლად განსაზღვრული ჰქონდა შემდეგი ორი რეკომენდაცია:

- რეკომენდირებულია განახლდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურა, აკადემიური პესრსონალის მიერ შემუშავდეს და სილაბუსებში აისახოს ქართულენოვანი სასწავლო მასალები, ასევე ძირითად ლიტერატურაში მითითებულ იქნას ოპტიმალური რაოდენობის სასწავლო მასალები;

- „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსის „სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის“ ჩანაწერში შევიდეს ცვლილება და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად განსაზღვრულ იქნას „ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური ხარისხი. სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელად შეიძლება დაშვებულ იქნას განსაკუთრებული პრაქტიკული გამოცდილების და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი“. აქვე დაზუსტდეს კრიტერიუმები და კომპონენტები, რომელის გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება „განსაკუთრებული პრაქტიკული გამოცდილების პირის“ იდენტიფიცირება.

ექსპერტის თქმით დაწესებულებამ ორივე რეკომენდაცია შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით იყო გაცემული, რაც მისასალმებელია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:26
დასრულების დრო: 14:29

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შერულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მესამე საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "მუსიკის მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მუსიკის მასწავლებლის მომზადება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2022 წლის 22 აგვისტოს №930184 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	დაწყებითი, საშუალო, საბაზო საფეხური, მუსიკის მასწავლებელი
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
11	სწავლების ენა	ქართული

12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
13	განხორციელების ადგილი	ზ. გორგილაძე/ვაჟა-ფშაველა 19/32, ბათუმი, 6010 საქართველო

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადა ერმილე მესხიამ. საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, ექსპერტის დასკვნას და საკითხის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას ანგარიშის შესახებ. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი განხილვა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტი რუსუდან თაყაიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით დაწესებულებას შესასრულებლად განსაზღვრული ჰქონდა სამი რეკომენდაცია:
1. დაზუსტდეს პროგრამის კურსდამავრებულთა სწავლის შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობები;
2. დოკუმენტალურად შეიქმნას შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი;
3. რეკომენდირებულია პრაქტიკის ობიექტებთან მემორანდუმებში დაზუსტდეს სტუდენტთა რაოდენობები.

ექსპერტის თქმით, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "მუსიკის მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშიდან ირკვევა, რომ დაწესებულებამ შეასრულა სამივე რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით სასწავლო უნივერსიტეტი ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა როგორც რეკომენდაციების, ისე რჩევების შესრულებაზე. სასწავლო უნივერსიტეტი მუშაობს ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით და მემორანდუმების ფარგლებში სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებთან (ძირითადად საჯარო სკოლებთან). მან ხაზი გაუსვა განსახილველი პროგრამის მნიშვნელობას რეგიონისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:32

დასრულების დრო: 14:40

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "მუსიკის მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "მუსიკის მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული ტურიზმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურული ტურიზმი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2022 წლის 12 ივლისის №794330 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
8	კვალიფიკაციის დასახელება	კულტურული ტურიზმის მაგისტრი
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0108, თბილისი, I კორპუსი - რუსთაველის #19, II კორპუსი - აღმაშენებლის #40

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს ლაშა ჩხარტიშვილმა და თინათინ ჭაბუკიანმა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, ექსპერტის დასკვნას და საკითხის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას ანგარიშის შესახებ. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი განხილვა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერმა, ეკა დევიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესასრულებლად განსაზღვრული ჰქონდა შემდეგი ოთხი რეკომენდაცია:

1.პროგრამის პირველი შედეგის ფორმულირებიდან ,,ახდენს ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას..“ ამოღებული უნდა იქნას სიტყვა ,,ბაკალავრიატში“ და დარჩეს ,,ახდენს მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას...“;
2. 5-5 კრედიტი, რომელიც გათვალისწინებულია რეფერატისა და საკონფერენციო მოხსენება/საჟურნალო პუბლიკაციისათვის, ჩაშენდეს ცალკეული კურსებში იმ თემატიკის გათვალისწინებით, რომელიც არჩეული აქვს სტუდენტს. განთავისუფლებული კრედიტების რაოდენობა შეიძლება გამოყენებული იქნას პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის და ახალი სალექციო თუ პრაქტიკული კურსების დანერგვისათვის;
3. შინაარსობრივად ისეთ მნიშვნელოვანი კურსი, როგორიცაა არჩევითი კურსი „კულტურული მემკვიდრეობა-დაცვა და მართვა“, გახდეს სავალდებულო;
4. რამდენიმე სილაბუსთან (პედაგოგიკა, ეთნოგრაფიული ტურიზმი, კულტურული მემკვიდრეობა - დაცვა და მართვა, მუზეუმი და სამუზეუმო მენეჯმენტი) დართული ლიტერატურის ჩამონათვალი საჭიროებს გარკვეულ მოდერნიზაციას, რათა უფრო მეტი ყურადღება იქნეს გამახვილებული უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზე. ზოგ შემთხვევაში, სასურველია, ასევე ლიტერატურის კლასიფიკაციის წესის დახვეწა: მაგალითად, რუსულენოვანი ლიტერატურა გადავიდეს კატეგორიაში „დამხმარე“ ან „დამატებითი ლიტერატურა“ და სხვა.

ექსპერტის თქმით, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცით დადასტურდა, რომ დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია ყველა რეკომენდაცია. მისი თქმით, პროგრამის პირველი შედეგი დაკორექტირდა და წარმოდგენილია შემდეგი ფორმულირებით: „ახდენს მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას და თეორიული კვლევის მიმართულებების განმტკიცებას“. სასწავლო კურსებზე: „რეფერატისა და საკონფერენციო მოხსენება/საჟურნალო პუბლიკაცია “გამოყოფილი 5-5 კრედიტი განაწილდა სასწავლო კურსებზე („მუზეუმი და სამუზეუმო მენეჯმენტი“ „კულტურული მემკვიდრეობა - დაცვა და მართვა“) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ამავდროულად საგანმა „კულტურული მემკვიდრეობა - დაცვა და მართვა“ შეიცვალა სტატუსი, გახდა სავალდებულო. გარდა ამისა, სასწავლო კურსების სილაბუსებში (პედაგოგიკა, ეთნოგრაფიული ტურიზმი, კულტურული მემკვიდრეობა - დაცვა და მართვა, მუზეუმი და სამუზეუმო მენეჯმენტი) განახლდა ლიტერატურა. შესაბამისად, დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია სრულად შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი დაინტერესდა რჩევასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა გარე შეფასებას უცხოეთის უნივერსიტეტების მიერ. მან კითხვით მიმართა დაწესებულებას, რა კრიტერიუმებით აპირებდა დაწესებულება გარე შეფასების მიზნებისთვის უნივერსიტეტების შერჩევას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს გარე შეფასებასთან დაკავშირებით გარკვეული პრაქტიკა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამაში ჩართულია უცხოელი სპეციალისტი, რომელიც კითხულობს ლექცია - სემინარებს. მისი თქმით, მომავალში შეიქმნება დადარების დოკუმენტი, რომელსაც უცხოელი აკადემიური პერსონალი გაეცნობა პროგრამის გაცნობის შემდეგ.

საბჭოს წევრი ქეთევან ზურაშვილი დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ ამჟამად პროგრამაზე რამდენი სტუდენტი სწავლობდა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ამჟამად პროგრამას არ ჰყავს სტუდენტი, თუმცა მომავალში აპირებენ მიღებას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, წინა წელს ორმა სტუდენტმა შეიჩერა სტუდენტის სტატუსი, ხოლო ოთხი წლის წინ ერთმა სტუდენტმა. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით განმარტა, რომ სტუდენტის მიერ სტატუსის შეჩერების მიზეზი იყო უცხოეთში საცხოვრებლად გადასვლა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:47
დასრულების დრო: 14:52
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული ტურიზმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურული ტურიზმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეხუთე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ევროპისმცოდნეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2022 წლის 14 ივლისის №805702 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
8	კვალიფიკაციის დასახელება	ევროპისმცოდნეობის ბაკალავარი
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0388 - ინტერდისციპლინური - მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზ. N3, თბილისი, მეორე აკადემიური კორპუსი, 0179, საქართველო

მეექვსე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპისმცოდნეობის" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ევროპისმცოდნეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2022 წლის 14 ივლისის №805701 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
8	კვალიფიკაციის დასახელება	ევროპისმცოდნეობის მაგისტრი
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0388 - ინტერდისციპლინური - მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას
10	სწავლების ენა	**ინგლისურენოვანი**
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120

12	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზ. N3, თბილისი, მეორე აკადემიური კორპუსი, 0179, საქართველო

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს თამარ ზარანდიამ და მამუკა ხუსკივაძემ
საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს, ექსპერტის დასკვნებს და საკითხის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს ანგარიშის შესახებ. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.

ვინაიდან სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშები შეისწავლა ერთი და იგივე ექსპერტმა, საბჭომ გადაწყვიტა ორივე საკითხი განეხილა ერთი შესვენების ფარგლებში.

საბჭოს შემოუერთდა საბჭოს წევრი გურანდა ჭელიძე
მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტმა, გიორგი მირიანაშვილმა „ევროპისმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მოცემულ პროგრამას განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსში განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა;
2. რეკომენდებულია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმბული ხელშეკრულებები მოვიდეს შესაბამისობაში მოთხოვნილ სტანდარტებთან.
3. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსებში - „თვისებრივი კვლევის მეთოდები“, „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“, „ბრიტანეთის პოლიტიკა“, „ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკური სისტემები“, „ევროპის დემოგრაფიული განვითარება“, „ევროინტეგრაციის ეკონომიკის შესავალი“ - გადაიხედოს შეფასების კომპონენტები და თითოეულისთვის გაიწეროს შესაბამისი აღწერა, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები.
4. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა იყოს დაბალანსებული იმგვარად, რომ პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და ადმინისტრაციული საქმიანობა მეტად იყოს დაკავშირებული ევროპისმცოდნეობის პროგრამასთან.
5. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროგრამის სტუდენტები სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და შეფასების საფუძველზე აღსანიშნავია, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

საბჭო გადავიდა მე - 7 საკითხის განსახილველად - „ევროპისმცოდნეობის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

აკრედიტაციის ექსპერტმა "ევროპისმცოდნეობის" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსახილველ პროგრამასთან მიმართებით განსაზღვრული იყო შემდეგი რეკომენდაციები:
1. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ინტერდისციპლინურია და მოიცავს ევროპული ინტეგრაციისთვის რელევანტურ სფეროებს, მათ შორის სამართალსა და ეკონომიკაში, რეკომენდირებულია იმ სტუდენტებს, რომელთაც საბაკალავრო საფეხურზე არ მიუღიათ საბაზისო ცოდნა სამართლისა ან/და ეკონომიკის ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით, მიეცეთ შესაძლებლობა არჩევით სასწავლო კურსებად გაიარონ სამართლისა და ეკონომიკის საფუძვლები.

2. სასწავლო კურსში „ევროპის კავშირის სამართალი“ მითითებული ერთ-ერთი ლიტერატურა (The ABC of European Union Law, 2017) არ შეესაბამება საგანმანათლებლო საფეხურს და საჭიროებს ჩანაცვლებას ისეთი ლიტერატურით, რომელიც ადეკვატურია სამაგისტრო საგანმანათლებლო საფეხურთან მიმართებაში.

3. სასწავლო კურსით „ევროპის კავშირის სამართალი“ გათვალისწინებულ სალექციო თემატიკას დაემატოს ევროპის კავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან, ევროპის კავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული საკითხები.

4. არჩევითი სასწავლო კურსების „ევროკავშირის კონკურენციის სამართალი“, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი“, „ევროკავშირის საერთაშორისო კერძო სამართალი“, „ევროკავშირის სამართალი და ინვესტიციები“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „ევროპის კავშირის სამართალი“.

5. რიგ სასწავლო კურსში განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა;

6. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსებში - „ევროპის კულტურული მოზაიკა“, „ევროპის ისტორია“, „საერთაშორისო და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“, „ადამიანის კონცეფცია ევროპულ ლიტერატურაში რენესანსიდან დღემდე“, „მოლაპარაკების უნარები“, „მოსახლეობა და ევროპული განვითარება“, კვლევითი თემის პრეზენტაციისათვის განისაზღვროს შეფასების კომპონენტის აღწერა და გაიწეროს შესაბამისი კრიტერიუმები და რუბრიკები.

7. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსებში - „საერთაშორისო და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“ და „მოლაპარაკების უნარები“ გასწორდეს ხარვეზები შეფასების სისტემაში, კერძოდ, კომპონენტებისადმი მინიჭებული ქულები და რუბრიკები მოვიდეს ერთმანეთთან თანხვედრაში.

8. ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამისთვის განისაზღვროს ციტირების აკადემიური გაფორმების სტილი.

9. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა იყოს დაბალანსებული იმგვარად, რომ პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და ადმინისტრაციული საქმიანობა მეტად იყოს დაკავშირებული ევროპისმცოდნეობის პროგრამასთან.

10. პროგრამის ხელმძღვანელები სრულად უნდა იყვნენ ჩართული პროგრამის შეფასება განვითარების პროცესში და პროგრამის განხორციელების პროცესში მათი როლი არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ შესაბამისი დარგობრივი მიმართულების ხელმძღვანელობით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია სრულად შესრულდა გარდა ერთისა, კერძოდ, დაწესებულებას დაევალა რომ სამართლის და ეკონომიკის საფუძვლები არჩევით კურსად შეთავაზებულიყო სტუდენტებისთვის. მისი თქმით, შესაძლოა „სამართლის საფუძვლების“ სასწავლო კურსი ფარავდა სამართლის შესავლის ზოგად საკითხებს, თუმცა მან ვერ ნახა ეს სილაბუსი და ამიტომ ჩათვალა, რომ პირველი რეკომენდაცია ნაწილობრივად არის შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტს, რომ „სამართლის საფუძვლების სასწავლო კურსი“ გარკვეულწილად მოიცავდა რეკომენდაციაში ასახულ საკითხებს და გარდა ამისა, განსახილველი სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება ვილნიუსის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებისთვის სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან შეთავაზებულია სასწავლო კურსი - „სამართლის თეორია“, ხოლო ვილნიუსის უნივერსიტეტიდან „გლობალური სამართალი“ და „სამართლებრივი ეთიკის საკითხები“, ეს უკანასკნელი სასწავლო კურსებიც ფარავს რეკომენდაციაში ნახსენებ საკითხებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:03
დასრულების დრო: 15:14
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპისმცოდნეობის" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან

დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპისმცოდნეობის" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს სხდომა დასრულდა 15:15 სთ - ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი